კონკურსის
„გახდი ბესტსელერის ავტორი“
გამარჯვებული

ყვავილები სახლთან ახლოს

თამარ გოდერიძე

გამომცემლობა პალიტრა L

სარედაქციო ჯგუფი
ლია თოფურია
თეკლა გიაშვილი
ნატალია ახვლედიანი
ნანა ბარბაქაძე
შორენა დათაშვილი

© თამარ გოდერიძე

© **გამომცემლობა პალიტრა** L, 2020
ყველა უფლება დაცულია

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. 49

238-38-71 book@palitra.ge www.palitral.ge

ISBN 978-9941-32-245-7

თამარ გოდერიძე საკუთარ თავს წერს. არა, არ შემშლია – საკუთარ თავზე არა, საკუთარ თავს. სწერს არა – წერს. ან შეიძლება იწერს. იმ განცდებს, რომლებიც მისი პირველი პროფესიის, ექიმობის, თეთრი ხალათით იმალება. ეს ნაწერიც დამალულ ამბებზეა – დამალულ ოცნებაზე, მუსიკაზე. დამალული და ცოტა მისტიკურიც, ისე, როგორც ეს ექო – „ანეკეს... ანეკეს... ანეკეს... კესანე... კესანე... კესანე...“ და სიმშვიდეზე. ან სიმშვიდის ძებნაზე. ან რეცეპტზე, რომელიც, ექიმ თამუნას რეცეპტისგან განსხვავებით, თურმეობითია – „თურმე მაშინ მოდის სიმშვიდე, როცა სხვებთან კი არა, საკუთარ თავთან აღარ გჭირდება არაფრის მტკიცება“ და, რაც მთავარია, ყვავილებზე. ყვავილებზე სახლთან ახლოს. ყველას სახლთან. ოღონდ ეს ყვავილები კი არ უნდა დაკრიფოთ, უნდა წაიკითხოთ.

გიორგი კეკელიძე

მწერალი, თამარ გოდერიძის მენტორი

ოქვენ წინაშეა თამარ გოდერიძის – ახალგაზრდა ავტორის, ექიმისა და მუსიკოსის უდავოდ საინტერესო რომანი. ნაწარმოებში რამდენიმე თაობის მღელვარე ცხოვრებაა ასახული და დროის საკმაოდ დიდ, დაახლოებით საუკუნოვან დიაპაზონს მოიცავს. პერსონაჟები ძალიან რთული, არაორდინარული პიროვნებები არიან, რომელთა ქცევა ერთნაირად დამაინტრიგებელია როგორც დრამატულ სიტუაციებში, ასევე მათი ბედნიერების ხანაში, კარიერული და პირადი ცხოვრების აღმავლობისა თუ დაცემის მომენტებში.

ავტორს თხრობის განსხვავებული სტილი, დამახასიათებელი მანერა აქვს; მისეული პოეზია და პროზა ჰარმონიულად ემსახურება სათქმელს; ნაწარმოები გაჯერებულია მოულოდნელი პასაჟებით. ეს ყველაფერი არ გამოჰპარვია მკითხველის თვალს, რომლის რჩეულიც გახდა თამარ გოდერიძე გამომცემლობა „პალიტრა L-ის“ მიერ გამოცხადებული ყოველწლიურ კონკურსში „გახდი ბესტსელერის ავტორი“.

ლია თოფურია
რედაქტორი

ყვავილები სახლთან ახლოს

თამარ ბოდერიძე

ნაწილი პირველი

წამზომმა ისევ გააცოცხლა საათის ისრები. სასწრაფოდ წამოხტა ლოგინიდან, ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ჯერ გაიღვიძა და თვალები შემდეგ გაახილა. უნდა ეჩქარა, ექიმთან აგვიანდებოდა... აკი არასდროს უყვარდა მარტო სიარული, ძალიანაც რომ მოენდომებინა, საკუთარ თავთან თითქოსდა ვერც ახერხებდა მარტო დარჩენას. ახლა კი მარტო მიიკვლევდა გზას უცნობ, თეთრკედლებიან შენობაში, სადაც ყველაფერი ერთმანეთს ჰგავდა, ერთიანად ბზინავდა სისუფთავისგან, მაგრამ მაინც ყველაფერს დაძველებული ჰალვის სუნი ასდიოდა. ჰალვა ძალიან უყვარდა ბავშვობაში და მას შემდეგ, რაც ერთხელ მოიწამლა, ყველაფერ ცუდს მასთან აიგივებდა ქვეცნობიერში. ახლაც ისეთივე შეგრძნება დაეუფლა, როგორც მაშინ, როცა შეშინებული ბებია ერთადერთ შვილიშვილს ხელში ატატებულს მიარბენინებდა სოფლის ახლოს მდებარე საავადმყოფოში, სადაც ასაკიანი ექიმი ერთნაირი წარმატებით მკურნალობდა ტვინის შერყევასაც და ფილტვების ანთებასაც. ეჰ, ნეტავ მაშინ, გაუელვა გონებაში... მაინც რა დრო იყო, როცა წამალი

წამლობდა და ექიმი ექიმობდა. და უცებ სიცილი აუვარდა... მერე შერცხვა, შერცხვა იმისი არა, რომ უცნობები სიბრალულით შესცქეროდნენ, არა, ისინი საერთოდ არ შეუმჩნევია. შერცხვა, რომ ასაკიანი ქალის ფიქრებში გამოიჭირა საკუთარი თავი.

გვარით გამოიძახეს. როგორც მაშინ, პირველად რომ მიუჯდა სკოლის მერხს ბაფთადასკუპებული. მაშინ მისი ერთადერთი გულშემატკივარი ბებია იყო, მაგრამ ახლა? ეჰ, როგორ მოუნდა ბებოს გაზაფხულის მწვანილებით მოჩითულ კალთაში თავის ჩარგვა და ატირება, მაგრამ ახლა ხომ დიდია, და თან ისე პატარა. წელგამართული წამოდგა, თითქოს ფორტეპიანოზე დასაკრავად ემზადებოდა – ბებია ხომ მუდამ მოძღვრავდა, ჯერ ჯდომა უნდა ისწავლო ინსტრუმენტთან, ხალხმა რომ ყურადღებით მოგისმინოსო. შემართება სისხლის ასაღებ სავარძლამდე ეყო და უცებ მოწყვეტით ჩაეშვა გაფითრებული. მაინც რატომ აეკვიატა აზრი, რომ რაღაც სჭირდა? ნემსის ჩხვლეტამ გამოაფხიზლა, უსიამოვნოდ შეაჟრჟოლა მთელ სხეულში, ახლაღა შეამჩნია, რომ წითელთმიან ექიმს სამი სინჯარა სისხლით გაელიცლიცებინა. ნეტავი ამას, არ მობეზრდა წითელი ფერის ყურება, თმებიც რომ წითლად შეუღებავს?! – ჩვეული იუმორით გაიფიქრა და სკამიდან წამოხტა. საკუთარი ნანემსარი ბამბით ჰქონდა ჩაბღუჯული. ყურადღება არც კი მიუქცევია დადევნებული სიტყვებისათვის, წარმატებებს გისურვებთო. დერეფანში გამოსვლისას კვლავ იცინოდა, ეცინებოდა ექთნის სურვილებზე, აბა, რა წარმატებები უნდა ესურვებინათ ადამიანისათვის, რომელსაც რაღაც სჭირდა?!